

შპს KPMG Georgia

ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება
(არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე)

2020 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

გვერდი


მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5– 24

შპს KPMG Georgia
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)


	შენიშვნა	არა აუდიტირებული მითხილის გარეშე	
		2020	2019
შემოსავალი	5	11,307,613	12,071,320
გაყიდვების თვითღირებულება	6	(8,341,584)	(6,939,692)
მთლიანი მოგება		2,966,029	5,131,628
სხვა შემოსავალი	7	58,974	211,497
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,603,589)	(2,527,289)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		421,414	2,815,836
ფინანსური შემოსავალი	9	405,299	397,604
ფინანსური ხარჯი	9	(173,891)	(37,291)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		231,408	360,313
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		652,822	3,176,149
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(27,065)	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		625,757	3,176,149

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია საერთო კრების მიერ 2021 წლის 29 ივნისს

გენერალური დირექტორი


.....
ოლეგ გომანსკი

აღმასრულებელი დირექტორი


.....
ეკატერინა რუხაძე

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 5 -24 გვერდებზე.

შპს KPMG Georgia
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>			
	შენიშვნები	30 სექტემბერი 2020	30 სექტემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივები გამოყენების უფლებით	20	1,747,382	-
ძირითადი საშუალებები	10	307,480	423,154
არამატერიალური აქტივები	11	43,966	14,093
ავანსები და სხვა აქტივები		22,009	144,279
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,120,837	581,526
მიმდინარე აქტივები			
სახელმწიფო აქტივი - დაუმთავრებელი სამუშაო	5	1,207,939	1,370,541
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	14	1,161,904	1,767,954
ავანსები და სხვა მოთხოვნები	13	81,619	99,264
საგადასახადო მოთხოვნები		240,948	202,113
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	3,189,674	2,248,624
მოთხოვნები წვერი ფირმების მიმართ	21b	-	4,406
სასესხო მოთხოვნები წვერი ფირმების მიმართ	21c	2,164,233	1,827,833
სულ მიმდინარე აქტივები		8,046,317	7,520,735
სულ აქტივები		10,167,154	8,102,261
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
16			
საწესდებო კაპიტალი		10,000	10,000
გაუნაწილებელი მოგება		5,780,760	5,468,003
სულ კაპიტალი		5,495,603	5,478,003
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	20	1,207,178	-
		1,207,178	-
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები წვერი ფირმების მიმართ	21d	42,518	5,360
სახელმწიფო ვალდებულება - კლიენტებისგან მიღებული ავანსები	5	396,130	623,971
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	20	661,201	-
გამოცხადებული დივიდენდები, დაუფარავი	16b	159,630	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	1,909,737	1,994,927
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,169,216	2,624,258
სულ ვალდებულებები		4,376,394	2,624,258
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		10,167,154	8,102,261

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 5-24 გვერდებზე.

შპს KPMG Georgia
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	625,757	3,176,149
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	787,334	181,523
ცვლილება საექვო მოთხოვნების ანარიცხებში	81,221	114,181
ფინანსური შემოსავალი	(405,299)	(379,604)
ფინანსური ხარჯი	173,891	-
მოგების გადასახადის ხარჯი	27,065	-
შემოსავალი Covid ფასდაკლებიდან საიჯარო გადახდებზე	(58,974)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,230,995	3,074,249
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	590,310	(76,871)
ცვლილება სახელშეკრულებო აქტივებში - დაუმთავრებელი სამუშაო და სახელშეკრულებო ვალდებულებებში, კლიენტებისგან მიღებულ ავანსებში	(65,239)	(768,530)
ცვლილება ავანსებსა და სხვა მოთხოვნებში	17,645	(30,552)
ცვლილება წვერი ფირმების მიმართ მოთხოვნებში	4,406	3,439
ცვლილება წვერი ფირმების მიმართ ვალდებულებებში	12,564	(369,956)
ცვლილება არაპირდაპირ გადასახადებში	(38,835)	(319,681)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(91,871)	693,568
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები პროცენტის და გადასახადის გადახდამდე	428,980	(868,583)
გადახდილი მოგების გადასახადი	(27,065)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	401,915	(868,583)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წვერ ფირმებზე გაცემული სესხები	-	(1,676,642)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(84,811)	(72,376)
მიღებული პროცენტი	84,905	81,824
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	-	1,098
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	94	(1,666,096)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(658,842)	-
გადახდილი დივიდენდები	(153,370)	-
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(812,212)	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	820,792	539,570
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	120,258	73,458
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 ოქტომბრის (შენიშვნა 12)	2,248,624	1,635,596
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 30 სექტემბრის (შენიშვნა 12)	3,189,674	2,248,624

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 5 -24 გვერდებზე.

შპს KPMG Georgia
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2020 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
 (ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე		
	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 ოქტომბერს	10,000	2,291,854	2,301,854
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
წლის მოგება	-	3,176,149	3,176,149
ნაშთი 2019 წლის 30 სექტემბერს	10,000	5,468,003	5,478,003
ნაშთი 2019 წლის 1 ოქტომბერს	10,000	5,468,003	5,478,004
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
წლის მოგება	-	625,757	625,757
გამოცხადებული დივიდენდები, დაუფარავი		(159,630)	(159,630)
გამოცხადებული დივიდენდები, გადახდილი	-	(153,370)	(153,370)
ნაშთი 2020 წლის 30 სექტემბერს	10,000	5,780,760	5,790,760

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 5 - 24 გვერდებზე.

1. შესავალი

ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს KPMG Georgia წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2013 წლის 19 თებერვალს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404437695.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს თავისუფლების მოედანზე, N4, ჯი-ემ-თი პლაზას მე-5-ე სართულზე, თბილისი 0105, საქართველო.

კომპანია ქართულ და მულტინაციონალურ კომპანიებს უწევს შემდეგი სახის მომსახურებებს:

- აუდიტორული მომსახურება;
- საკონსულტაციო მომსახურება;
- საგადასახადო და იურიდიული მომსახურება.

2020 წლის 30 სექტემბრის და 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიას ფლობენ:

- "KPMG CIS HOLDINGS LIMITED" (კვიპროსი) - 49%;
- 3 ფიზიკური პირი, თითოეული ფლობს 17%-ს - 51%.

ოპერაციები წევრ ფირმებთან დეტალურად აღწერილია 21-ე შენიშვნაში.

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისათვის. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების პირველი ნაკრები, სადაც გამოყენებულია ფასს 16 "იჯარები". მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული ცვლილებები აღნიშნულ საკითხზე აღწერილია მე-20 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

გ) სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებულისა.

დ) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 3 (ზ) – სახელშეკრულებო ნაშთები;
- შენიშვნა 3 (თ) – ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან;
- შენიშვნა 20 - იჯარები.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური აქტივების ან ვალდებულებებისათვის.
- დონე 2: აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული საბაზრო ფასებისგან განსხვავებული მონაცემები, გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა, როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 3 (ბ) - ფინანსური ინსტრუმენტები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები აღწერილია შენიშვნებში 3(ა) - 3(ლ). აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული, გარდა ფასს 16-ისა, რომელიც გამოყენებულ იქნა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან.

ა) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში, კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების განხორციელების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება ანგარიშგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით მიღებული შემოსავალი ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებულ, უცხოურ ვალუტაში ასახულ ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია ოპერაციის თარიღისთვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

„კომპანია“ თავდაპირველად ახდენს სესხებისა და მოთხოვნების და დეპოზიტების აღიარებას მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის აღიარება (სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული აქტივების ჩათვლით) თავდაპირველად ხდება ვაჭრობის თარიღისთვის, როდესაც „კომპანია“ ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

„კომპანია“ წყვეტს მისი ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა ვადა გასდის სახელშეკრულებო უფლებებს აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, ან თუ ის განახორციელებს ოპერაციას, სადაც გადასცემს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, რომლითაც, არსებითად ყველა რისკისა და ფინანსური აქტივის ფლობის ანაზღაურების გადაცემა ხდება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივზე, რომელსაც ქმნის ან ინარჩუნებს „კომპანია“, აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითულია და წმინდა ოდენობა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და მას აქვს განზრახვა მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიანი ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად ნაშთებს, ვადიან ანაზრებს და მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის ვადით 3 თვე ან ნაკლები შემენის თარიღიდან, რომელთა სამართლიანი ღირებულებაში ცვლილებების რისკი მიჩნეულია არაარსებითად.

გ) საწესდებო კაპიტალი ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

დ) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. შემენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე (ძირითადი კომპონენტები), როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარდება წმინდა ოდენობით, შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის სახით.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განიცემული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება, და მისი ღირებულების სანდოდ შეფასება შესაძლებელია. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან „კომპანიაში“ შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განიცემულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. იჯარით აღებული აქტივების ცვეთა ხდება იჯარის ვადასა და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის განმავლობაში, თუ გონიერულ ფარგლებში აშკარა იქნება, რომ „კომპანია“ მიიღებს საკუთრების უფლებას იჯარის ვადის ბოლოსთვის.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

საიჯარო გაუმჯობესებები	იჯარის ვადის მანძილზე
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	3 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

ე) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შემენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ სასრული მომსახურების ვადები, ფასდება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

შემდგომი დანახარჯი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ზრდის კონკრეტულ აქტივში (რომელსაც ის უკავშირდება) განიცემულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე. ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების მანძილზე (საშუალოდ 5 წელიწადი).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ვ) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში თუ, წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

ზ) სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივი-დაუმთავრებელი სამუშაო, უკავშირდება საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის მხრიდან კლიენტისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებულ უფლებას ანაზღაურების მოთხოვნაზე. სახელშეკრულებო აქტივი - დაუმთავრებელი სამუშაო, აღიარდება მოთხოვნად, როდესაც ანაზღაურების მიღების უფლება ხდება უპირობო. აღნიშნული, როგორც წესი, ხდება მაშინ, როდესაც კომპანია წარუდგენს კლიენტს ინვოისს.

სახელშეკრულებო ვალდებულება - კლიენტებისგან მიღებული ავანსები, ძირითადად უკავშირდება კლიენტებისგან მიღებულ წინასწარ ანაზღაურებას, რომელიც აღიარდება შემოსავლად გარკვეული დროის მანძილზე, როდესაც მომსახურება იქნება გაწეული კლიენტებისთვის.

თ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი წარმოადგენს წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულებას. კომპანია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადასცემს კლიენტს მომსახურებაზე კონტროლს და ასრულებს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს. კლიენტებისთვის გაწეული მომსახურება კომპანიისთვის არ ქმნის ალტერნატიული მოხმარების მქონე აქტივს და ზოგადად, კომპანიას აქვს უფლება მოითხოვოს ნებისმიერ კონკრეტულ თარიღამდე გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ანგარიშგების თარიღისთვის პროექტის დასრულების ეტაპის პროპორციულად, სახელშეკრულებო ნაშთების ღირებულებაში წმინდა ცვლილებების გათვალისწინებით. დასრულების ეტაპი ფასდება შესასრულებელი სამუშაოს შეფასებების საფუძველზე.

ი) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე, საბანკო დეპოზიტებზე;
- საპროცენტო ხარჯი ოვერდრაფტზე;
- ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან გამოწვეული უცხოური ვალუტის საკურსო მოგება ან ზარალი.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივს არ განუცდია საკრედიტო გაუფასურება) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდგომ განიცადეს საკრედიტო გაუფასურება, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ აქტივი აღარ განიცდის საკრედიტო გაუფასურებას, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან/და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

კ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ბიზნეს შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში, ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს, ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე, ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია, ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც, ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც წიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად, მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან ამ პერიოდის შემდგომ პერიოდებში დივიდენდის განაწილებისას, შესაძლებელია ჩათვლილ იქნას ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილი იქნა დივიდენდი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდება და ზენორმატიული წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია მსგავსი ტიპის ტრანზაქციების დაბეგვრას მიიჩნევს ბასს 12-ის (მოგებიდან გადასახადები) ფარგლებს გარეთ და ასეთი ერთეულები აღირიცხება სხვა გადასახადებში.

ლ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, კორექტირებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ შესულა ძალაში 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და არ იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მათი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე შეფასებულია როგორც მცირე.

4. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

ფასს 16

კომპანიამ ფასს 16 იჯარები პირველად 2019 წლის 1 ოქტომბრიდან გამოიყენა.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, რომლის ფარგლებში თავდაპირველი გამოყენების კუმულაციური გავლენა აღიარებულია გაუნაწილებელ მოგებაში 2019 წლის 1 ოქტომბერს. შესაბამისად, 2019 წლის 30 სექტემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული - ე.ი. წარმოდგენილია, ადრე აღრიცხვას შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ. ამასთანავე, ფასს 16-ის ახსნა-განმარტებითი მოთხოვნები ზოგადად არ ყოფილა გამოყენებული შესადარისი ინფორმაციაზე.

ა) იჯარის განმარტება

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა, ან მოიცავდა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას ფასიკ 4 "როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას" - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს არის თუ არა, ან მოიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით.

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები, რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ ყოფილა გადაფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მასასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 ოქტომბერს ან ამ თარიღის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

ბ) როგორც მოიჯარე

როგორც მოიჯარე, კომპანია იჯარით იღებს უძრავ ქონებას. კომპანია, ადრე იჯარებს საოპერაციო იჯარების სახით აკლასიფიცირებდა, მისი შეფასების მიხედვით იმის გათვალისწინებით, გადასცემდა თუ არა იჯარა კომპანიას შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ფასს 16-ის ფარგლებში, კომპანია, იჯარისთვის აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ე.ი. აღნიშნული იჯარა არის საბალანსო.

საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების, ან მისი ცვლილების დროს, კომპანია ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას ანაწილებს მისი შედარებითი, განცალკევებული ფასის მიხედვით.

ადრე, კომპანია ქონების იჯარას, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარად აკლასიფიცირებდა. გადასვლისას, აღნიშნული იჯარისთვის, საიჯარო ვალდებულება შეფასდა ნარჩენი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული კომპანიის 2019 წლის 1 ოქტომბრისთვის არსებული მზარდი სასესხო განაკვეთით.

აქტივი გამოყენების უფლებით ფასდება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების ოდენობით.

კომპანიამ, გადასვლის თარიღისთვის, მოახდინა მისი "აქტივები გამოყენების უფლებით" ტესტირება გაუფასურებაზე და დაასკვნა, რომ არ არსებობს მინიშნება იმისა, რომ "აქტივები გამოყენების უფლებით" არის გაუფასურებული.

კომპანიამ, ადრე ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებულ იჯარებთან მიმართებაში გამოიყენა რამდენიმე პრაქტიკული მიზანშეწონილობა ფასს 16-ის გამოყენებისას.

4. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში (გაგრძელება)

გ) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

გავლენა გადასვლისას

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ აღიარა დამატებითი აქტივი გამოყენების უფლებით და დამატებითი საიჯარო ვალდებულება და სხვაობა გაუნაწილებელ მოგებაში აღიარა. გავლენა გადასვლისას შეჯამებულია ქვემოთ.

ლარი	1 ოქტომბერი 2019
აქტივი გამოყენების უფლებით	2,364,104
აქტივი გამოყენების უფლებით - "ავანსები და სხვა აქტივები"-დან	(122,271)
საიჯარო ვალდებულებები	2,241,834
გაუნაწილებელი მოგება	-

საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარისთვის საიჯარო ვალდებულების შეფასებისას, კომპანიამ მისი საიჯარო გადახდების დისკონტირება მისი 2019 წლის 1 ოქტომბრისთვის არსებული მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით განახორციელა. გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 8.5%.

5. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ფორმირდება აუდიტორული, საგადასახადო, იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შედეგად.

შემოსავლის შეფასება ხდება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემა კლიენტისთვის.

